დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს
დირექტორის 2022 წლის 18 იანვრის N 7 „ო“ ბრძანებით

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს სამეთვალყურეო საბჭოში პროფესიულ მასწავლებელთა წარმომადგენლის არჩევის წესი

1. **„სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს სამეთვალყურეო საბჭოში მასწავლებელთა წარმომადგენლის არჩევის წესი“** შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად.
2. კოლეჯის სამეთვალყურეო ორგანო არის კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 5 წევრისაგან.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) ორი წევრი – დამსაქმებლის წარმომადგენელი;
ბ) ერთი წევრი – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი;
გ) ერთი წევრი – საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი;
დ) ერთი წევრი – პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენელი;

3. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილების ვადაა 3 წელი, რომლის ამოწურვის შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს უნარჩუნდება უფლებამოსილება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს წესდება“-ის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამეთვალყურეო საბჭოს პირველი სხდომის გამართვამდე.
4. ამ წესის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად „პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენელი“-ს არჩევის მიზნით, კოლეჯის დირექტორის მიერ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წინამდებარე წესის შესაბამისად ტარდება არჩევნები.
5. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აცხადებს კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაციას და განსაზღვრავს რეგისტრაციის ვადებს.
6. პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლის არჩევნების ორგანიზების მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საარჩევნო კომისია, რომელიც შედგება კოლეჯის თანამშრომლებისაგან.
7. საარჩევნო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი და არაუმეტეს ხუთი წევრისა.
7. საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა, უფლებამოსილება, საარჩევნო კომისიის წევრების რეგისტრაციის ვადები და არჩევნების ჩატარების თარიღი განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს:

ა) სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატი პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ბ) დირექტორი ან მისი ახლო ნათესავი;

გ) დირექტორის მოადგილე ან მისი ახლო ნათესავი;

9. კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველი პროფესიული მასწავლებლები განცხადებით მიმართავენ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საარჩევნო კომისიას. მიღებული განცხადებები რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში.

10. სამეთვალყურეო საბჭოში პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენელს ირჩევს კოლეჯში მომუშავე პროფესიული განათლების მასწავლებლები პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრის გზით, სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილების ვადით.

11. სამეთვალყურეო საბჭოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლის არჩევნების დასრულებისთანავე, საარჩევნო კომისია კოლეჯის დირექტორს წარუდგენს შესაბამის ოქმს არჩევნების ჩატარებს შესახებ, რაშიდაც შეტანილი უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოში პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლების მიერ მიღებული ხმათა რაოდენობები.

12. კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოში პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლად არჩეული იქნება ის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც ჩატარებული არჩევნების შედეგად მოაგროვებს ხმათა უმრავლესობას.